საბოლოო მიღება - ჩაბარების

ა ქ ტ ი

ქ. ზუგდიდი „15" სექტემბერი 2014წ

ერთის მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი") მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ზუგდიდმშენექსპერტიზა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის - დირექტორის ნუგზარ ჯაბუას სახით, შევადგინეთ საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტი 2014 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული №21 ხელშეკრულების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე ღვარცოფისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული მიზეზებისა და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების დასადგენად საექსპერტო მომსახურებაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ შესრულებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე ღვარცოფისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული მიზეზებისა და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების დასადგენად საექსპერტო დასკვნის შედგენა, ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

„შემსყიდველი"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

---------- ე. თოლორაია

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ზუგდიდმშენექსპერტიზა"-ს
დირექტორი

---------- ნ. ჯაბუა

ინსპექტირების ჯგუფის საბოლოო დასკვნა

„15" სექტემბერი 2014წ

ქ. ზუგდიდი

ერთის მხრივ შემსყიდველი ორგანიზაცია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილმა ინსპექტირების ჯგუფმა, შემდეგი შემადგენლობით: ნუკრი მარგველანი – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ხარჯთაღრიცხვისა და პროექტირების განყოფილების უფროსის მ/შემსრულებელი, დამირ ლაშხია – ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის ხარჯთაღრიცხვისა და პროექტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტის მ/შემსრულებელი და მეორე მხრივ მიმწოდებელი ორგანიზაცია შ.პ.ს. „ზუგდიდმშენექსპერტიზა" (შემდგომში „მიმწოდებელი"), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის - დირექტორის ნუგზარ ჯაბუას სახით, შევადგინეთ წინამდებარე დასკვნა 2014 წლის 25 აგვისტოს გაფორმებული №21 ხელშეკრულების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე ღვარცოფისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული მიზეზებისა და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების დასადგენად საექსპერტო მომსახურებაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ შესრულებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე ღვარცოფისაგან დაზიანებული ნაპირსამაგრი ნაგებობის მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული მიზეზებისა და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების დასადგენად საექსპერტო დასკვნის შედგენა, ღირებულებით 400 (ოთხასი) ლარი.

„შემსყიდველი"

1. ---------- ნ. მარგველანი

2. ---------- დ. ლაშხია

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს. „ზუგდიდმშენექსპერტიზა"-ს
დირექტორი

---------- ნ. ჯაბუა

GEORGIA, ZUGDIDI, LTD "ZUGDIDMSHENEXPERTIZA" 220416306

საქართველო

შ.პ.ს. „ზუგდიდმშენექსპერტიზა"
ქ. ზუგდიდი. რუსთაველის ქ. №93
ა/ა № GE84BG0000000230167300
სს „ საქართველოს"ბანკის
საიდენტ. კოდი № 220416306
ტელ. 855 455161, 893 332073

L.T.D. „ ZUGDIDMSHENEXPERTIZA"
ZUGDIDI. RUSTAVELI Str. №93
№GE84BG0000000230167300 „
ZUGDIDI GEORGIAN BRANCH.
IDENTITY CODE №220416306
Tel. 855 455161, 893 332073

საექსპერტო დასკვნა

ქ. ზუგდიდი 09.09.2014წ.

1. **აქტის შედგენის ადგილი:** *ქ. ზუგდიდი*
2. **აქტი შეადგინა ექსპერტმა:** *ნ. ჯაბუა*
3. **ექსპერტიზის დამკვეთი და მისი მისამართი:** *ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქ.ზუგდიდი რუსთაველისქ. №93*
4. **ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი:** *ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №21 დადებული 2014 წლის 25 აგვისტოს.*
5. **ექსპერტიზის ამოცანა:** *დადგენილ იქნას ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით (გამგეობის სარეზერვო ფონდი) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობის ღვარცოფის შედეგად დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის კონკრეტული მიზეზები და ნაგებობის აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებები.*
6. ***წარმოდგენილი მასალების გამოკვლევის შედეგები და ექსპერტიზის დასკვნა:***

ზუგდიდის მუნიციპალიტეტთან დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №21 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს„ზუგდიდმშენექსპერტიზა"-ს ექსპერტმა ნ. ჯაბუამ მოვახდინე ჯიხაშკარის თემში მდ. ტარჩიაზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობების ადგილზე დათვალიერება, მათი ღვარცოფის შედეგად დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენის და აღდგენისათვის საჭირო ღონისძიებების დასახვის მიზნით.

ნაპირდამცავი ნაგებობების ადგილზე დათვალიერების და მათი მოწყობაზე შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა:

1. საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად ნაპირდამცავი ნაგებობა (გაბიონი №1) ეწყობა მდ. ტარჩიაზე ვანიჩქა ზარანდიას საცხოვრებელი სახლის წინ. პროექტის თანახმად ნაგებობა წარმოადგენს გაბიონის ყუთებში მოთავსებული ყორე ქვის კედელს (გაბიონს) სიმაღლით 2,0მ. საერთო სიგრძით 50 გ/მ. გაბიონის კედლი შედგება ორი სართულისაგან, განივ ჭრილში პირველი სართულის ზომებია (1,5X1,0)მ. ხოლო მეორე სართულის (1,0X1,0)მ.

საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია 2013 წლის ივნისში ხოლო გაბიონის კედელი მოწყობილია 2014 წლის დასაწყისში არსებული პროექტის შესაბამისად. პროექტის თანახმად ვანიჩქა ზარანდიას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, მდ. ტარჩიას მარცხენა ნაპირი, სადაც მოწყობილია გაბიონი, წარმოადგენს ბალასტის ნაყარს, რომელიც მოწყობილია წინა პერიოდში ღვარცოფის შედეგად, მდინარის აღნიშნული ნაპირის წყლის ნაკადით ჩამორეცხვის შემდეგ. აღნიშნულ ადგილას ნაყარის საშუალო სიფართე შეადგენს დაახლოებით 8-12მ.

გაბიონის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანებულია ყორე ქვის ნაპირდამცავი ნაგებობის შუა ნაწილია, სიგრძით 28 გ/მ. რაც გამოწვეულია მდ. ტარჩიას დინების მიმართულების

ცვლილებით და ნაპირის არამყარი მდგომარეობით, კერძოდ: პროექტზე თანდართული გაბიონის მოწყობის გეგმის თანახმად მდ. ტარჩიას ძირითადი ნაკადი მიედინება კალაპოტის მარცხენა მხარეს, ხოლო გაბიონის კედლიდან 20-25მ. მანძილზე მდინარის მარჯვენა ნაპირზე ფიქსირდება მდინარის მიერ ჩამორეცხილი ინერტული მასალის შეგროვება. (იხ. გაბიონის მოწყობის გეგმა)

დღეის მდგომარეობით აღნიშნულ მონაკვეთზე მდ. ტარჩიას ძირითადი ნაკადი მიედინება მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. მდინარის დინების მიმართულების აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია მდინარის ძირითადი ნაკადის შეჯახება გაბიონის კედლის შუა ნაწილთან და მდინარის ადიდების მომენტში მისი დაზიანება. (იხ. ფოტომასალა)

2. საპროექტო დოკუმენტაციის თანახმად ნაპირდამცავი ნაგებობა (გაბიონი №2) ეწყობა მდ. ტარჩიაზე ანზორ ზარანდიას საცხოვრებელი სახლის წინ. პროექტის თანახმად ნაგებობა წარმოადგენს გაბიონის ყუთებში მოთავსებული ყორე ქვის კედელს (გაბიონს) სიმაღლით 2,0მ. საერთო სიგრძით 90 გ/მ. გაბიონის კედლი შედგება ორი ნაწილისაგან, პირველი სიგრძით 70გ/მ. ზომებით, განივ ჭრილში პირველი სართულის (1,5X1,0)მ. მეორე სართულის (1,0X1,0)მ. და სიგრძით 20გ/მ. ზომებით, განივ ჭრილში პირველი სართულის (2,0X1,0)მ. მეორე სართულის (1,0X1,0)მ.

გაბიონის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანებულია 70გ/მ სიგრძის ყორე ქვის გაბიონის 5 გ/მ. მონაკვეთი. გაბიონის კედლის დაზიანების ძირითადი მიზეზს წარმოადგენს ის რომ არ არსის შევსებული ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით გაბიონის კედლის უკანა ნაწილი რის შედეგად წყლის გარკვეულმა ნაკადმა შეახწია გაბიონის კედლის უკანა მხრიდან, და გამოიწვია ზემოაღნიშნული ნაწილის დაზიანებ (იხ. ფოტომასალა).

დასკვნა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. ტარჩიაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით მოწყობილი ნაპირდამცავი ნაგებობის, კერძოდ: 1. ვანიჩქა ზარანდიას სახლის წინ მოწყობილი 50გ/მ. სიგრძის გაბიონის 28გ/მ. მონაკვეთის დაზიანება გამოიწვია მდ. ტარჩიას დინების მიმართულების შეცვლამ და ძლიერი ღვარცოფის შედეგად ადიდებული მდინარის დინების ძირითადი ნაკადის ნაპირდამცავი ნაგებობის შუა ნაწილთან შეჯახებამ 2. მდ. ტარჩიაზე, ანზორ ზარანდიას საცხოვრებელი სახლის წინ მოწყობილი 70გ/მ. სიგრძის გაბიონის 5გ/მ. მონაკვეთის დაზიანება გამოიწვია მდ. ტარჩიას დინების მიმართულების შეცვლამ და ღვარცოფის შედეგად ადიდებული მდინარის ნაკადის შეხწევამ ნაპირდამცავი ნაგებობის უკანა მხრიდან.

ნაპირდამცავი ნაგებობების დაზიანებული მონაკვეთის აღსადგენად საჭიროა:

1. მოხდეს ნაპირდამცავი ნაგებობების დაზიანებული მონაკვეთის დემონტაჟი.
2. დაზიანებული მონაკვეთის არდგენა განხორციელდეს ადგილზე არსებული ვარგისი გაბიონის ყუთების (დაახლოებით 80%) და ყორე ქვის გამოყენებით.
3. ორივე გაბიობის კედლის წინ (50გ/მ+90გ/მ) მანძილზე მოეწყოს, ლეიბი (რენო მატრასი) ზომით განივ ჭრილში (0,5X2,5)მ.

ექსპერტი /ნ. ჯაბუა/

GEORGIA ZUGDIDI LTD "ZUGDIDI MUNICIPALITY" 220416306